ხაშურის მოამბე

№37 (458) 2 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 2024 წელი

ხაშურქალაქობა - 2024

დღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთანაა

ულამაზესი შემოდგომა იცის ჩვენს მუნიციპალიტეტში. უკანასკნელ წლებში, კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ, ბევრი რამ, პირდაპირი მნიშვნელობით, თავდაყირა დააყენა, მაგრამ შემოდგომას, ჯერ-ჯერობით მაინც, ვერაფერი დააკლო, ჰოდა, მობრძანდა მისი აღმატებული ეს შემოდგომა თავისი ულამაზესი ჭრელა-ჭრელა ფერებით და ჩვენს ქალაქშიც შემოიტანა დღესასწაული, რომელსაც წლიდან-წლამდე ველოდებით ყველა, ვისაც უყვარს ჩვენი ქალაქი, ვისაც ხაშური საკუთარ სახლად თუ ბუდედ მიაჩნია. გვეწვია დღესასწაული, რომელიც, ჰემინგუეის პერიფრაზირებას თუ ვიხმართ, მუდამ ჩვენთანაა - ხაშურქალაქობა - 2024. ვიდრე ამ დღესასწაულის პერიპეტიების აღწერას დავიწყებდი, ისტორიას გადავხედე და თვითონაც არ ველოდი ისეთი მრგვალი თარიღები აღმოვაჩინე. ჩვენი ქალაქის პირველ დღესასწაულს 1984 წელს ჩაეყარა საფუძველი და მისი ინიციატორი პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ირაკლი ჯიქურაშვილი იყო, ანუ - 40 წლის უკან. შემდეგ 90 - იან წლებში, ვის ეცალა ზეიმისთვის და ხაშურქალაქობის აღნიშვნა შეწყდა. მისი თავიდან აღნიშვნა კი 2004 წელს განახლდა და ესეც შენი 20 წელი. მოკლედ, დაწყებიდანაც და განახლებიდანაც ლამაზი იუბილე გამოვიდა. თუმცა, ესეც რომ არ ყოფილიყო, მაინც ლამაზია ეს დღე. თითქოს სხვანაირი ხდება ქალაქი. ჯერ ასეულობით ბავშვის გაბრწყინებული სახეების დანახვა რად ღირს. პატარები ვერც ხვდებიან რას ზეიმობენ, მაგრამ ისე ლამაზად ეწერებიან საერთო პათოსში, რომ მათ ცქერას არაფერი სჯობს. უფროსების განწყობას მშვენივრად გადმოსცემს პიროვნება, ჩემთვის სრულიად უცნობი, რომელიც მაჩერებს და გულღიად მესაუბრება (შემდეგ გავიგე, რომ იგი ჩვენი ქალაქის მკვიდრი ალექსანდრე გელაშვილი ყოფილა): - პური და სანახაობა ჯერ კიდევ ძველმა რომელებმა დანერგეს და იცოდნენ კიდეც ამის ფასი. აი, ჩვენ დღესასწაულს კი ეს „ფორმულა“ არ შეეფერება. ეს მართლა დღესასწაულია, ჩემი ქალაქის დღესასწაულია, სადაც აგერ უკვე 60 წელია ვცხოვრობ და რომელიც ძალიან მიყვარს. რატომაც არა? ვისზე ნაკლებია ჩემი ხაშური? ნაკლები კი არა, ჩემთვის მთელ პლანეტაზე საუკეთესოა...

ეროვნული დროშებით მორთული ქალაქის ცენტრი და ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდების ცქერა მართლაც საამო საყურებელია. აქ ერთი მცირე გადახვევაც უნდა გავაკეთო. ჩემს ბავშვობაში, როდესაც მსოფლიო ლიტერატურის გაცნობა დავიწყე, აღმოვაჩინე, რომ ევროპაში თუ ამერიკაში, როგორც წესი, ყველა ქალაქს საკუთარი სიმბოლოები - დროშა და გერბი ჰქონდათ. რაღაცნაირად, გული მწყდებოდა და ერთგვარი თეთრი შურით მშურდა მათი. საბჭოთა რეჟიმის დროს ეს ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო. როგორ შეიძლებოდა ვინმე განსხვავებული ყოფილიყო? ღადარში გამომცხვარი მჭადებივით ხომ ყველა ერთნაირი უნდა ვყოფილიყავით. დროშას და გერბს კი ერთგვარი დამოუკიდებლობის ელფერი ახლავს და ამას მოითმენდა ჩვენი „დიდი ძმა“ რუსეთი? დღეს კი მიხარია და ამაყიც ვარ, რომ ჩვენს ქალაქს საკუთარი დროშაც, გერბიც და ჰიმნიც აქვს და სამივე ერთმანეთზე უკეთესი. დავუბრუნდეთ ზეიმს. კოსტავას ქუჩა ხელოვნების ნიმუშების გალერეადაა ქცეული და უამრავი დამთვალიერებელიც ჰყავს. რას არ ნახავდა აქ კაცი - შესანიშნავი ფერწერული ტილოები, საუცხოო ნაქარგობანი, ყვავილებით შექმნილი დეკორატიული სურათები, ბისერებით მოხატული სხვადასხვა აქსესუარები და სხვა... ქუჩას უზარმაზარი სცენა „კეტავს“, რომელზეც ადგილობრივი თვითშემოქმედების კოლექტივები ცეცხლს ანთებენ ქართული ცეკვებით. ცეკვებს სიმღერები ენაცვლება. დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში კი მოჭადრაკეები, მონარდეები და მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულები ღია პირველობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. მთლიანობაში ეს ყველაფერი მართლაც ლამაზი სანახავია. „ივერიის“ სტადიონზე, პარალელურად, ფეხბურთში გოგონათა ტურნირია და მასაც მრავალი მაყურებელი ჰყავს. ნელ-ნელა ახლოვდება 18 საათი - შეიძლება ითქვას, ზეიმის კულმინაცია. სცენას იკავებენ შიდა ქართლის გუბერნატორი ლევან ხარაბაძე, ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი ზაალ დუგლაძე, მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი. მცირე ამონარიდები მათი გამოსვლიდან. ლევან ხარაბაძე: - გილოცავთ, ძვირფასო ხაშურელებო! მე დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როგორ გიყვართ თქვენი ქალაქი, ეს კი კიდევ უფრო მარწმუნებს, რომ თქვენი ძალისხმევით ხაშური უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი გახდება და ადგილობრივი თუ უცხოური ტურისტებისათვისაც მიმზიდველ ქალაქად იქცევა... ზაალ დუგლაძე: - მეამაყება, რომ ჩემი მშობლიური ქალაქი თავისი კულტურული

(გაგრძელება V გვერდზე)

გვირგვინით შეამკეს გმირთა მემორიალი

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივის მიგების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერის მოადგილეებმა, სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გამართულ ბრძოლებში დაღუპულ გმირთა მემორიალი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპული მებრძოლების ხეივანი გვირგვინებით შეამკეს.

აფხაზეთში სამხედრო დაპირისპირება 13 თვეს და 13 დღეს გაგრძელდა, რაც 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემით და საქართველოს შეიარაღებული ძალების მარცხით დასრულდა.

მთავრობის განკარგულებით, ამ დღეს, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის ხაშურში, სახელმწიფო და მუნიციპალური დროშები დაშვებული იყო.

- შიდა ქართლი -

განიხილეს 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სპორტული პროგრამები

2024-2025 წლის სასკოლო სპორტის პროგრამების განხილვის მიზნით, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში სამუშაო შეხვედრა ჩატარდა, რომელსაც ადმინიასტრაციის აპარატის ხელმძღვანელი ქეთევან ციმაკურიძე, ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კონსტანტინე ამირეჯიბი, რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლები დაესწრნენ.

სამუშაო შეხვედრაზე მხარეებმა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონული თამაშების შესახებ ისაუბრეს, რომელიც 26 სექტემბერს დაიწყება. როგორცაღინიშნა, ბავშვთადასასკოლოსპორტისეროვნული ფედერაციასთან რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურები და მუნიციპალიტეტის სკოლები აქტიურად გააგრძელებენ თანამშრომლობას.

გარდა ამისა, გორის მუნიციპალიტეტს საუკეთესო საორგანიზაციო სამუშაოებისთვის ფედერაციისგან სპორტული ინვენტარი გადაეცა.

- წარმატებული პედაგოგები -

დიდ ბრიტანეთში, ლიდსის უნივერსიტეტი ხაშურელ პედაგოგს ელის

არც თუ ისე დიდი ხნის წინ, გაზეთის მკითხველს ინგლისური ენის პედაგოგის ნანა გელაშვილის წარმატებებს ვაცნობდით. ნანა გელაშვილი სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ხაშურის #3 საჯარო სკოლის პედაგოგია. ქალბატონი ნანა რამდენიმე ხნის წინ, მის მორიგ წარმატებას გვამცნობდა სოციალური ქსელით. ნანა გელაშვილმა ჩივნინგის სტიპენდია მოიპოვა და სექტემბრიდან, სრული დაფინანსებით, დიდ ბრიტანეთში, ლიდსის უნივერსიტეტის განათლების სამაგისტრო პროგრამაზეგააგრძელებს სწავლას! „ცხოვრება განსაკუთრებით მანებივრებს სასიამოვნო და საინტერესო გამოცდილებებით. უმნიშვნელოვანესი ამბავი მინდა გაგიზიაროთ. მოვიპოვე ჩივნინგის სტიპენდია,

სექტემბრიდან სრული დაფინანსებით, დიდ ბრიტანეთში, ლიდსის უნივერსიტეტის განათლების სამაგისტრო პროგრამაზე გავაგრძელებ სწავლას. მადლობა განსაკუთრებული შესაძლებლობისთვის.

ამ რთული და ემოციებით სავსე გზის გავლას ჩემი საყვარელი ოჯახის და ძვირფასი ადამიანების მხარდაჭერით ვახერხებ. ბედნიერი ვარ ჩემს ცხოვრებაში თქვენი არსებობით. მადლობა ჩემს უძვირფასეს რეკომენდატორებს ინგა გელაშვილს და ჩემს ძვირფას დირექტორს თამარ გელაშვილს რომ სრული თანადგომა გამომიცხადეს.

ოცნებები, რომლებსაც მიზნებად ვაქცევთ აუცილებლად აგვისრულდება!“

წარმატებები ქალბატონ ნანას!

საქართველო პირველად, მსოფლიო ტურიზმის დღის მასპინძელი ქვეყანაა

მსოფლიო ტურიზმის დღის აღსანიშნავ ღონისძიებებს შეუერთდა ხაშურის მუნიციპალიტეტი და ტურისტულ საინფორმაციო ცენტრში, მოეწყო ადგილობრივი მეწარმე შემოქმედ ხელოვან ქალთა ხელნაკეთი ნივთების/ პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა.

გამოფენა დაათვალიერეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერის მოადგილე ზვიად გოგუაძემ და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებმა.

2024 წლის მსოფლიო ტურიზმის დღე ტურიზმს, მშვიდობის სიმბოლოდ განიხილავს.

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36)

მუხები - ადგ., სათესი, სალოცავი;
მუხების მიწები - ადგ., სახნავი;
მუხნარი - ტყე;
ნაკუდას კარები - ადგ., სახნავი;
ნარუჯი - ადგ., ტყე, მთა, სათესი, საძოვარი;
ნასახლარები - ადგ., ნანგრევი;
ნაფიციწყარო - ადგ., წყარო, სათესი
ორხევი - ადგ., ხევი, მთა, ტყე;
ორხევის გვირაბი - ადგ., გვირაბი;
ორხევის გზა - გზა;
ორხევის ტბა - ადგ., ტბა;
პეტრიკი - ადგ., სახნავი;
სათიბი - ადგ., მინდორი;
სათიბის გზა - გზა;
სათიბის მთა - ადგ., მთა;
სათიბის ღელე - ღელე;
სარდიონის მიწები – ადგ., სახნავი;
სახიზნო - ადგ., ნამოსახლარები;
საჯვარე - ადგ., სალოცავი;
სერგოს მიწა - ადგ., ნაკვეთი;
ტბა - ადგ., ტბა;
ტყემინდორი - ადგ., კორდები;
ტყის გზა - გზა;
ფერის ბოსლები - ადგ., სათესი. იგივეა, რაც ნაფიციწყარო;

ქვედაუბანი – უბანი;
ღარათი - ხევი;
ღარათის მიწები - ადგ., სათესი;
ღარათის ღელე - ღელე;
ღელისპირები - ადგ., სათესი;
ყარამანის ბილიკი - ადგ., ბილიკი;
ყარამანის მიწა - ადგ., სახნავი;
ყარამანის ღელე - ღელე;
ყარამანის წყარო - წყარო. იგივეა, რაც დათვის წყარო;
ყველია ვახოს ახო - ადგ., სახნავი;
ყველია კიკას ახო - ადგ., სახნავი;
ყველიების უბანი - უბანი;
შაქროს მიწები - ადგ., სახნავი;
შუაწისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი;
წაბლოვანა – ადგ., ტყე;
წისქვილის მიწები//წისქვილმიწა - ადგ., სახნავი;
ხაჩიძეების წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი.

სოფელი ზ ი ნ დ ი ს ი

ბაიანთხევის ტყე - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს.
ბრმა ღელე - ადგ., ხევი, ღელე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,გაზაფხულობით მოდის წყალი”.
დიდი მინდვრები - ადგ., საძოვარი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს
თავადების გორა - ადგ., გორაკი. აქ არის ლესია უკრაინკას ბიბლიოთეკა-მუზეუმის შენაობა.
კარიერი - ადგ., ,,აქედან გამოჰქონდათ სილა”.
კურსანთები - ადგ., დასავლეთის მხარეს, შუა უბანში. ,,აქ იდგა სამხედრო ნაწილი”.
მუხები - ადგ., მუხნარი სამხრეთის მხარეს.
საკირე - ადგილი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,აქ კირი მოიპოვებოდა”
ტარასოს აღმართი - ადგ., აღმართი. ,,აქ ტარასი ჩადუნელი დასახლდა ერთ-ერთი პირველი, მის ზემოთ არავინ ცხოვრობდა, გაჩეხა მუხნარი, ბუჩქნარი და დღეს მისი შთამომავლები ცხოვრობენ აქ”.
ჭაობები - ადგ., სტადიონი დასავლეთის მხარეს. ,,ადრე იყო ჭაობი შემდეგ მიწა დაყარეს და ამოაშრეს”.

სოფელი ი ტ რ ი ა

ახო - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს.
ახოსთაავი - ადგილი
ბეჯანას ახო - ადგ., სახნავი. ,,ბეჭანა ყოფილა, ახო გაუკეთებია და შეარქვეს ეს სახელი”(გ. ულუმბელაშვილი).
ბეჯანისეული - იგივეა რაც ბეჯანას ახო.
ბზიკვერცხები - ადგ., ტყე.
ბრუმაღელე//ბრმაღელე - ადგ., ტყე, ღელე, უერთდება ძვლიაურის წყალს
გიგოს ახო - ადგ., სანავი.
დიაკვნიანთ წყარო - ადგ; წყარო. ეკლესიის დასავლეთით, ძველ სასაფლაოსთან.

დიდბოგირები - ადგ., სათესი, საძოვარი.
დიდი ხევა - ადგ; იხ. დოლაბს გაღმა ლაშე.
დოლაბს გაღმა მლაშე - ადგ; დაფიქსირებულია მთავარეპისკოს ნიკოლოზ ჩხეიძის მიერ 1671 წელს ნასყიდა ბაქრაძისადმი მამულის მიცემის საბუთში: ,,...ესე მტკიცე და უცვალებელი, ჟამთა და ხანთა უკუნისამდე მიზეზმოუდებელი წიგნი გიბოძეთ და შეგიწყალეთ ჩვენ, ჩხეიძემ, ბატონმა მთავარეფიზკოპოზმა ნიკოლოზ, ძმამა ჩემა ბატონმა ბეჟან, ძმისწულმა ჩემა ბატონმა ქაიხოსრომ, თეიმურაზ, სეხნიამ, სახლისა მომავალთა ჩვენთა ყოველთავე, შენ, ჩვენს ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ბაქრაძე ნასყიდა გაატაზს, შვილსა შენსა თამაზას, სეხნიას, სახლისა შენისა ჩამომავალთა ყოველთავე, ასრე რომე სახლისა და მამულის წყალობას გვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გავსინჯეთ და საყდარს ვერ გაგაშორეთ, გიბოძეთ სახლის ალაგი ჩვენს დოლაბს გაღმა მლაშეს იქეთ რომ გზა შეექცევა იქმდე, ჭიჭინაძემ რომ ტყე გაჰკაფა, ისიც გიბოძეთ შუას ტყეზედ, რომ გზა გარდმოივლის იქამდი ჟამისაძის მიწის სახნავამდი შენ რომ ესახლები ვენახით რომ თეთრი მიწის გზა ჩამოვა იქამდი. ავთანდილ რომ მიწას ხნევდა, ისიც გიბოძე,. როსაფ მაჭავარიანის წისქვილამდი დიდ ხევამდი, ჩვენის კონდაკით ამოგებულის თეთრით გიყიდეთ შოშია ბლიაძისაგან ბეკამს მამული“ (სცსსა, ფ. 1450, 35/89)
ეგნატეს წყარო - წყარო
ვაკნარები – ადგ., მინდორი, საძოვარი.
თეთრი მიწა - ადგ;

თეთრი მიწის გზა - ადგ; გზა.
თეკლეს ჭაობი - ადგ., სათიბი
თხრილის წყარო - წყარო
იტრიის ღვთისმშობელი - ადგ., სალოცავი დასავლეთის მხარეს
კოტეს წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი
კოტილაური//კოტილაურის სერი - ადგ., სერი დასავლეთის მხარეს. 1773 წლის 9 დეკემბრის ერეკლე II სურამის მოურავს იესე მურვანიშვილს ავალებდა კოტილაურში ლეკების წინააღმდეგ ხალხის დაყენებას: “ახლა ქართლიდამ რავდენიმე კაცი გამოგვიგზავნია, ესენი მანდ მოვლენ. ამ კაცებიდან ზოგი კოტილაურში დააყენე და ზოგი /სურამის/ ციხის კარზედ დააყენე და კარგათ გაფრთხილებით ამყოფე. კოტ[ი]ლაურში კაცის დაუყენებლობა არა გზით არ იქნება, უნდა დააყენო...”.

კოტილური გზაგასაყარს წარმოადგენდა. მასზე გადიოდა სურამიდან სოფ. ფონისკენ მიმავალი დასავლეთ საქართველოში გადასასვლელი ერთ-ერთი გზა. აქედანვე გადის გზა სამხრეთით - სოფ. ტეზრისა და ქვიშხეთისაკენ, საიდანაც ვხვდებით ჯერ ბორჯომის ხეობაში და შემდეგ ახალციხეში. ამ გზების შესაყარი ადგილის - კოტილაურის დაცვას დიდი სტრტეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. როგორც ირკვევა ამ გზით ხშირად სარგელობდნენ ლეკები. ამიტომ ავალებს ერეკლე II იესე მურვანიშვილს კოტილაურში ,,კაცების დაყენებას”.
ლეკის გზები - გზები;
ლენტოს ახოები - ადგ., ახოები, სახნავი;
ლენტოს ვენახეი - ადგ., სათიბი;
მარიამობის ეკლესია - ადგ., სალოცავი, იგვეა, რაც იტრიის ღვთისმშობელი
მხიარული წყარო - ადგ; წყარო.
ნაბაღარი - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს.
ნავენახარი - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს.
ნარუჯი - ადგ., ტყე, ,,ბატონისა იყო, ფონას მიდგმაზეა. ბატონს ტყე დაუწვეს და შეერქვა ნარუჯი”(გ. ულუმბელაშვილი).
პანტნარი - ადგ., ფიჭვნარი. ,,ადრე სახნავი, სათესი იყო”.
პლატონასმიწისთავი - ადგილი;
ჟამისიძის მიწა - ადგ; იხ. დოლაბს გაღმა მლაშე.
როსაფ მაჭავარიანის წისქვილი - ადგ; იხ. დოლაბს გაღმა მლაშე.
სადათვეში - ადგ., ტყე;

საზვერის სერი - ადგ., სერი. იგივეა, რაც კოტილაურის სერი.
სათიბები - ადგ., სათიბი;
სათიხე – ადგილი;
სათიხეები - ადგ., ტყე;
საქიშმილე - ადგილი;
საწვერო - ადგ., ტყე;
საჭილე - ადგილი ძლეურში დასავლეთის მხარეს. ,,ბევრი ჭილი იყო. ქსოვდნენ ჭილოფებს”.
საჭინჭრეები - ადგ., საძოვარი;
საჯვარე - ადგილი დასავლეთის მხარეს, იტრიის კოშკთან ახლოს.
სეილოკო - ადგ., გორაკი, ,,საელიობოდან მომდინარეობს”.
სეილოპის სერი – ადგ., სერი, მთა;
სუტნიაღელე - ადგ; ღელე. ჩამოედინება იტრიის ეკლესიის სამხრეთით.

ტეფნაძის წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი;
ტეძრის სერი - ადგ., მთა, სერი;
ღვთისმშობელი - ადგ., სალოცავი. იგივეა რაც იტრიის ღვთისმშობელი, მარიამობის ეკლესია.
შავმიწები - ადგ., სათესი, სახნავი;
ჩიხლაბუტკა - ადგილი;
ცაცხვის წყალი - წყარო.
ძლეური – ადგ., ნასოფლარი იტრიის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,იმერეთიდან ჩამოსული გელაშვილები სახლობდნენ. პატარა სოფელი იყო, მარტო გელაშვილები ცხოვრობდნენ”(გ. ულუმბელაშვილი).
ძლეურის ღელე - ღელე, ჩამოდის სოფელში, ერთვის სურამულას მარჯვენა მხრიდან.
წვრილღელე – ღელე, უერთდება ძლეურის ღელეს.
ჭყარომიწა - ადგ., სათესი.
ჭყარტახო - ადგ., სახნავი. ,,ჭყარტმა კაცმა, უბრალო კაცმა გაჩეხა და დაერქვა ეს სახელი. ჭყარტი, გლახა იყო”(გ. ულუმბელაშვილი).
ხალთის სოროები - ადგილი პანტნართან.
ხახულას ახო - ადგ., სახნავი. ,,კაცები იყვნენ ხახულები”.

(გაგრძელება IV გვერდზე)

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

ნასოფლარი კაკალათხევი

აჯიბედაურები - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. “ბედაური ცხენი გაუჭენებია ლაბაძეს. ვინ იყო ეს ლაბაძე არ ვიცი”. დაფიქსირებულია 1802 წლის 6 მარტის საბუთში: ,,...ჟამთა და ხანთა გასათავებელი წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, კაკონასშვილმან აღამ, ძმამან ჩემმან დავითამა, გიგოლამა, მოსესამა, შვილმა ჩვენმან....., იაკოფამა თქვენ, თავადს გიორგი ვეზიროვს, ძმასა თქვენსა დავითსა და იოვანესა. ასე რომა ჩვენის სამკვიდრო მიწა მოგეცით ღარიბაღელეს გაღმა ოთხის დღისა. თავს აჯიბედაურის გზამდინ, ბოლოს აბიასშვილის შიოს მიდგმამდინ, ერთი გვერდი ბიძის ჩემის ტერ-ზაქარას მიდგმამდინ“.

აჯიბედაურის გზა - ადგ; გზა

გადმოღმა კოშორი - ადგ., ბორცვი

გადმოღმა კოშორის გზა - ადგ., ფლატე

გაღმა ახოები - ადგ., სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,ახალი გაჩეხილი ტყე იყო”

გაღმა კოშორი - ადგ., ბორცვი

გაღმა კოშორის გზა - გზა

გაღმა ფლატე - ადგ; ფლატე

გვრიტიშვილების მიწები - ადგ., სახნავი

გორაანთუბანი - ადგ; უბანი სამხრეთ ნაწილში. ,,ლაბაძეები იყვნენ”.

დათილა ბიჭები - ადგ; უბანი დასავლეთის მხარეს. ,,პაპაჩემი რომ დასახლდა შუა უბანში, მერე ლაბაძეები ამოსულან ქვედა უბანში და დასახლებულან იქ”. იგივეა რაც ქვედა უბანი.

დამწვარი ღელე - ადგ., მინდორი

დამწვარი სელის წყალი - ადგ., მინდორი

დამწვრები - ადგ., მინდვრები

დიდი მინდორი – ადგ., მინდორი, ტყე, საძოვარი სამხრეთის მხარეს.

კაკალათხევის სასაფლაო - ადგ., სასაფლაო.

კაკალათხევის სერი - ადგ., სერი

კაკალათხევის სერის გზა - გზა

კიპლოს ღელე - ღელე

კიპკოს ახო - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,სახაშუროში იყო. Gგიორგი გელაშვილი, კიპკოს ზედმეტ სახელად ეძახდნენ”.

კლდეები - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,აქ იტეხებოდა საშენი ქვა. საშენ სილაც ითხრებოდა”.

კოშორი - ადგ., გორაკი

ლაზარიანთ უბანი - ადგ; უბანი

ლაშეები - ადგ., საძოვარი, სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ჭაობიანი ადგილები იყო. მარილიანი წყლები იყო. მაისამდე ვერ გაივლიდი ვერც ურმით და ვერც ფეხით. წყალი მლაშე იყო”.

ლუკას ტყე - ადგ; იგივეა რაც მადნის ტყეები. ,,წვრიმალა ტყე იყო”.

ლუბრუმის ახოები - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს.

ლუბრუმის წყარო - ადგ; წყარო აღმოსავლეთისს მხარეს.

მადნის ტყეები – ადგ., ტყე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

მადნები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,კარგი სახნავი იყო”.

მადნის წყალი//მადნის წყარო - ადგ; წყარო დასავლეთის მხარეს. ,,კარგი წყალი იყო”

მიხა ბიჭების წყალი – ადგ; წყარო აღმოსავლეთის მხარეს. ,,მიხა ლაბაძეს თუ მის შვილს გაუკეთებია წყარო, იქვე ცხოვრობდნენ”

ნარვანის კლდე - ადგ., კლდე

ნაჩეხები - ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს. ,,მსხვილი ხე რაც იყო გაჩეხეს, წვრილი ხე დარჩა”.

სალელეები - ადგ., სახნავი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,პატარა ტყე ყოფილა, გაუვალი, სულ მუხნარი, შემდეგ გაუჩეხიათ. აქ თავს აფარედნენ რაზმელები. ახლა ტყე არის”.

სამების წმინდა გიორგი - ადგ., სალოცავი

სამცხვარეები - ადგ., მინდრი საძოვარი აღმოსავლეთისდ მხარეს. ,,ცხვარს აძოვებდნენ და ჰყრიდნენ აქ”.

სამცხვარე ახოები - ადგ; იგივეა რაც სამცხვარეები

სასაფლაოს მიწები - ადგ., ვენახი

სასაფლაოს წყალი - ადგ; წყარო აღმოსავლეთის მხარეს ძველ სასაფლაოსთან.

სახაშურო - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. “ხაშურლებს ჩამოართვეს და მოგვცეს ჩვენ, კოლმეურნეობა რომ ჩამოყალიბდა”.

სერი მიწები - ადგ., სახნავი

სკოლის წყარო - ადგ; წყარო სამხრეთის მხარეს სკოლასთან.

ტილიანა - მდინარე

ფიჭვნარი - ადგ., ტყე

ფოტაანთუბანი - ადგ; უბანი

ქვედა ახოები - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს.

ქვედა უბანი - ადგ; უბანი აღმოსავლეთ ნაწილში

ქვედა უბნის წყარო - ადგ; იგივეა, რაც მიხა ბიჭების წყალი.

ღარიბაღელე - ადგ; ღელე

ყარაულიანთ უბანი - ადგ; უბანი

შუა უბანი - ადგ; იგივეა რაც ფოტაანთუბანი

ცენეკაანთ ღელე - ადგ; ღელე. მომდინარეობს ცენეკაშვილების გვარიდან.

წვერიანების ახო - ადგ., სათესი. მომდინარეობს წვერიანაშვილების გვარიდან.

წვერიანების სახტარი - ადგ., სალოცავი

წიწკილა - ადგ; წყარო

ჭანკოტაძეების მინდორი - ადგ., საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ტყე ჩვენ მეტი გვქონდა, მიწა ნაკლები. ჭანკოტაძეების მინდორი კოლმეურნეობა, რომ ჩამოყალიბდა ჩვენ გვერგო”.

ხატის მიწები - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ასე იტყოდნენ ხოლმე, რომ აქ დიდი მუხეი ყოფილა. ერთ დიდ მუხაში, რომელსაც ფუღურო ჰქონდა, ვიღაცას ხატი მიუტანია და შიგ ჩაედო. მუხას მეხი დაეცა. მიუხედავად ამისა, მან მანც იყარა”.

დაბა სურამი

არუწოვის ვენახი - ადგ; იხ. მურმანისშვილის ნაზვრევი.

აღაბეგაშვილის ნავენახარი - ადგილი; დაფიქსირებულია 1809 წლის 5 ივლისს ბეჟან აბაზაძის მიერ ანდრია ჯანიბახჩაშვილისათვის მიცემული ნასყიდობის საბუთში: ,,...ნასყიდობის სიგელი და წიგნი დაგიწერე და მოგეც კეთილშობილმა არუთენასა და მელქუასა, შვილთა თქვენთა გაბრიელასა, როსტომას, გრიქოლას აბაზაძე ზურაბის ძე ბეჟანმა და ძმისწულმა ჩემა გიორგიმა და შვილმა ზურაბმა და მომავალთა ჩვენთა თქვენ, სურამს მცხოვრებელთ სახასოთ ანიბახჩაშვილთ ანდრიას, და სტეფანს. ასე ჩემის ნებით მოგყიდე ჩემის ყმის აღაბეგაშვილის ნავენახარი თქვენის ვენახის გვერდდზედ. ისევ თქვენგან იყო მოსყიდული და ამისთვის თქვენვე დაგახსნევინეთ. თავს კვახიაშვილის სამზღვრამდი, ბოლოს ისევ თქვენს მიდგმამდი, იქით მამულაშვილის სამზღვრამდი და აქეთ ისევ თქვენს მოდგმამდი“.

ბაბიკავურის ვენახი - ადგ: დაფიქსირებულია ზურაბ ლასურისშვილის მიერ აბდულა თოფჩიასშვილისათვის 1727 წლის ივლისის გასულს მიცემულ ნასყიდობის წიგნში: ,,... ესე წიგნი მოგეცი მე, სურამელ[მა] ლასურისშვილ[მა] ზურაბამა შენ, თოფჩიასშვილ აბდულასა, ძმასა შენსა ოსმანასა, ბიძაშენსა შაბურასა და კიდევ ბიძაშენსა ავთანდილსა, კიდევ სახლისა შენსა მომავალსა. ასე რომე ჩემი მამული ახალციხელი ისლამას შვილ სულეიმანასათვინა მიმეცა ნასყიდობით და იმისგანა შენ გეყიდა. მერმე მოველ, შენ შემეხვეწევი და ჩემი მამულისა მომე ფასი. გამოგართვი რაცა ჩემს გულ შეჯერდებოდა. ერთი იოტის საფასი არა დარჩა ჩემი ძმობის მეტი და მოყვრობის მეტი არა დარჩარა. ახლა ჩემი სასახლე, წინა ვენახი და ბაღითა, თავისი წყალითა, თავისი წისქვილის ალაგითა, თავისი შესავლითა, გასავლითა, ზევით შენი ნავენახის მოდგომითა, ერთი გვერდი შენის სათივის მოდგმამდინა, ერთი გვერდი ბედიანასშვილის და ლომიასშვილის ნერგნალის მოდგმამდინ და ქვეით სიმონასშვილის ნერგნალის მოდგომამდინა, იქით ბაბიკავურის ვენახამდინა“ მოგვიცია.

ბაიანთხევი - ადგ; უბანი დასავლეთის მხარეს.

ბაიანთხევის სერი - ადგ., სერი დასავლეთის მხარეს.

ბაიანთხეულა - მდინარე, ერთვის სურამულას მარჯვენა მხრიდან.

ბაიასშვილის პატასეული - ადგ; სახნავი, სათესი. იხ. გორათის მიწა.

ბეგალაური - ადგილი;

სახნავი, სათესი. 1820 წლის 15 თებერვალს მჭედლისშვილებმა ბეგალაური და გიგინაური მიჰყიდეს გაბრიელ სარახათუნაშვილს: ,,... ჟამთა-ხანთ გასათავებელი მტკიცე და უცილებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცით ჩვენ, მურვანისშვილის ყმამ დავითელ მჭედლისშვილებმა სესიამა და ძმამა ჩემა ნინიამა და შვილმა ჩემა დავითმა და მამავალმა სახლისა ჩვენისამა შენ, სარახათუნაშვილს გაბრიელასა, შვილსა და მამავალსა სახლისა შენისასა. მას ჟამსა ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენგანაც ნასყიდი ხეროდინასშვილის სოლომანასეული მიწა და ბატონი ჩვენისეული ნაწყალობევი მიწა ბატონი ჩვენის დასტურით. ერთიანად მოგყიდეთ გიგინაური და ბეგალაური. ზეით სერის მხარეს ბერუაშვილის მიწის მიდგმამდინ, ქვეით გვერდი შარამდინ, თავს არუწაშვილი გაბრიელას [და მურვანიშვილის] მიდგმამდინ, ბოლოს ტიჟუაშვილის მიდგმამდინ“(ხეც. Qდ – 10724). 1840 წლის 1 ნოემბერს აღნიშნული მიწის ნაკვეთი სარახათუნასშვილებმა ფასუაშვილებს მიჰყიდეს: ,,...ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, სარახათუნასშვილის გაბრიელას მეუღლემ ქეთევანმა და ასულმა ჩემა სარამა და გაიანემა და სახლისამა ჩვენისამა მამავალმა თქვენ, დავითა ფასუაშვილსა და ძმასა შენსა გაბრიელასა და შვილსა თქვენსა გიგოსა და ბეროსა და სახლისასა მამავალსა თქვენისასა. მას ჟამს ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენგანაც ნასყიდი დავითელა ჭედლისშვილისეული მიწა ერთიანათ გიგინაური და ბეგალაური. ზეით სერის მხარეს ბერუაშვილის მიწის მიდგმამდინ, ქვეით გვერდი შარამდინ, თავს არუწასშვილი გაბრიელას მიდგმამდინ, ბოლოს ტიჟუაშვილის მიდგმამდინ“.

ბედიანასშვილის ნერგნალი - ადგ; იხ. ბაბიკავურის ვენახი.

გიგინაური - ადგ; სახნავი, სათესი. იხ. ბეგალაური. დაფიქსირებულია 1857 წლის 1 სექტემბრის საბუთში, რომელშიც ნათქვამია: ,,მე, ქვემორე ამისა მოხსენებულმა გორის უეზდის სურამის უჩასტკის სოფელს სურამსავე მცხოვრებელმა ბეთლომე ხეროდინოვის ასულმან ნანამა მოგეცი ესე მტკიცე და უცილებელი ნასყიდობის წერილი თქვენ, ამავე სურამში მცხოვრებელთ, ჩვენს სახლის კაცსა გლახა სტეფანას ძეთ ხეროდინაშვილსა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა. მას ზედა რომელ მოგყიდე ჩემდა მამა-პაპათგან დანაშთი სამკვიდრობით კუთვნილი ყოვლისა სხვათა პირთაგან უდავო და უცილებელი ხდომილი სახნავი მიწა გიგინაური, მდებარე ამავე სურამსა... შემოსაზღვრული აღმოსავლეთით მხარისაკენ გიგო ლოტუაშვილის მიწის მიდგმამდინ, თავსა შარამდინ, დასავლეთის მხარეს ისევ შენის მიწის მიდგმამინ, თავსა შარამდინ, ბოლოს ელისბარ ხეროდინოვის მიწის მიდგმამდინ“. გვხვდება 1857 წლის 1 სექტემბრის კიდევ ერთ საბუთში: ,,...სურამსავე მცხოვრებელმა მანუჩარა მამნოვმა ფარსადანას ძემა და ბეთლომე ხეროდინოვის ასულმა ნანამა მოგეცით ესე მტკიცე და უცილებელი ნასყიდობის წერილი თქვენ, ამავე სურამში მცხოვრებელთ ჩვენს სახლის კაცსა გლახა სტეფანასძეთა ხეროდინაშვილსა... მა ზედა რომელ მოგყიდე ჩვენდა მამა-პაპადგან დანაშთენი სამკვიდროებით კუთვნილი... სახნავი მიწა გიგინაური მდებარე ამავე სურამსა...“.

მომდინარეობს გიგინაშვილის გვარიდან. 1759 წლის 12 ოქტომბერს ზურაბ მანუაშვილის მიერ მამასახლის გიორგი არუწაშვილისათვის ნაფუზრის მიყიდვის წიგნში ნათქვამია, რომ ნაფუზრის ზედა საზღვარი ,,გიგინ[ა] სშვილის მიწის მიდგმამდი“ არის.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურქალაქობა - 2024

დღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთანაა

(დასასრული)



თუ სპორტული მიღწევებით თვალსაჩინო ადგილს იკავებს მთელი ქვეყნის მასშტაბით და მჯერა, ეს მიღწევები კიდევ უფრო მოიმატებს... თენგიზ ჩიტიაშვილი: - უამრავი და უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება და მომავალშიც განხორციელდება ხაშურში. ეს კი ერთგვარი გარანტიაა, რომ ხაშური ულამაზეს და ნამდვილ ევროპულ ქალაქად იქცეს... ნინო ლიპარტელიანი: - სიხარულით მევსება გული, როცა ამდენ გაბრწყინებულ სახეს ვხედავ, გილოცავთ ყველას და გჯეროდეთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ძალისხმევას არ დაიშურებს, რომ ჩვენი ქალაქი კიდევ უფრო გალამაზდეს და გამშვენიერდეს...

იწყება დაჯილდოება. პირველ რიგში ხაშურის საპატიო მოქალაქეები სახელდებიან, ადამიანები, რომლებმაც თავისი ღვაწლით ნამდვილად დაიმსახურეს, რომ გამორჩეულთა შორის იყვნენ. აი, ესენიც: **ვალერი გელაშვილი** - ღირსეული ხაშურელი, მეცენატი, ქველმოქმედი, რომელსაც ჩვენი ქალაქისათვის უამრავი რამ აქვს გაკეთებული ეკონომიკური, კულტურული თუ სპორტული ცხოვრების განვითარებასა და ხელშეწყობის საქმეში; **თამაზ ნოზაძე** - გულისხმიერი და მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული რკინიგზელი; **მერი ლურსმანაშვილი** - ღვაწლმოსილი პედაგოგი, რომელიც 43 წლის განმავლობაში ეწეოდა მოზარდთა განათლების საქმეს და ასეულობით ახალგაზრდა აღზარდა; **დავით კვინიკაძე** - სპორტის გამორჩეული მოღვაწე, დამოუკიდებელი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ევროპის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო თამაშების კომისარი, აშშ - ს ქალაქ უოტფორდის საპატიო მოქალაქე... **რევაზ ინასარიძე**, ღირსეული ხაშურელი, ქალაქის ჭეშმარიტი კოლორიტი, რომელმაც მთელი თავის ცხოვრება დაუკავშირა ხაშურს და დღესაც იღვწის მისი კულტურული თუ ეკონომიკური კეთილდღეობისათვის.

საპატიო ხაშურელების შემდეგ უკვე წარმატებული სპორტსმენები ჯილდოვდებიან: მიშიკო გაფრინდაშვილი - ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი; ია ჯელაძე - სამბოში, კადეტებს შორის, საქართველოს ჩემპიონი; გიგა ოდიკაძე - ძალოსნობაში, ახალგაზრდებს შორის, საქართველოს ჩემპიონი; დიმიტრი მულაძე - ვეტერანთა შორის, ძიუდოში, ევროპის ჩემპიონი; საბა ჩილაშვილი - ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ახალგაზრდებს შორის, ევროპის ჩემპიონი; მათთან ერთად დაჯილდოვდნენ მათი მწვრთნელები: ვახტანგ კვინიკაძე, გიორგი კვინიკაძე, მალხაზ ნოზაძე, ბუხუტი ბუხრიკიძე, ბეგლარ ხარშილაძე. მათთან ერთად სცენაზე ადიან და ჯილდოვდებიან ასპროცენტიანი გრანტის მქონე სტუდენტები (თერთმეტი სტუდენტი გაზეთის წინა ნომერში გავაცანით ჩვენს მკითხველს). დაჯილდოების შემდეგ, სცენაზე სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“ იკავებს, რომელმაც მართლაც საუცხოო სანახაობა შესთავაზა მაყურებელს. გალა-კონცერტი კი დახურა, თამამად შეიძლება ითქვას, დღეისათვის საქართველოში ყველაზე პოპულარულმა „ღამის შოუს“ ბენდმა გიორგი გაბუნიასთან და ჯიმი აბესაძესთან ერთად.

დღესასწაული შედგა. მუნიციპალიტეტის მერიამ და განსაკუთრებით კულტურისა და სპორტის სამსახურმა უზარმაზარი სამუშაო გასწიეს, რომ ეს ზეიმი მართლაც დღესასწაულად ექციათ და გამოუვიდათ კიდეც. გვიან ღამით, ცას შეტყორცნილი ულამაზესი ფოიერვერკი კი იქ, ზეცაშიც ამცნობდა ყველას, რომ ეს იყო ქალაქის დღესასწაული, ქალაქის, რომელიც მუდამ ჩვენს გულშია!

გოგი გოგოლაძე

ხაშურის საპატიო მოქალაქეები

ვალერი გელაშვილი

მერი ლურსმანაშვილი

დავით კვინიკაძე

თამაზ ნოზაძე

რევაზ ინასარიძე

ხაშურელი მსმენელის წინაშე, ყველა თაობისთვის საყვარელი ანსამბლი ,,ფორტე'' წარსდგა

სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში, ცნობილი ქართველი მომღერლების: მანანა მაისურაძის, ირინა კახნიაშვილის, ნინო ახობაძისა და ზურა მანჯავიძის მონაწილეობით გამართულ დაუვიწყარ ქალაქურ საღამოს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიება, მუსიკოს ლიანა ტატიშვილის ინიციატივით გაიმართა.

საღამოს ორგანიზატორები იყვნენ: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულო, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახური, კულტურის ცენტრების გაერთიანება და ხაშურის სამუსიკო სკოლა.

- მინიფეხბურთი -

სალოკომოტივო დეპოს ფეხბურთელები რკინიგზის ხაშურის კვანძის ჩემპიონები გახდნენ

საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირის(თავმჯდომარე გ. გელაშვილი) ორგანიზებით, ამ დღეებში, ჩატარდა ჩემპიონატი მინი ფეხბურთში ხაშურის კვანძის ორგანიზაციებს შორის. სულ მონაწილეობდა 5 გუნდი: სალიანდაგო და ელ. მომარაგების სამმართველოების, სადგურ ხაშურის, სავაგონო და სალოკომოტივო დეპოების ფეხბურთელები. ჩემპიონატი მიმდინარეობდა საინტერესოდ და დაძაბულ ვითარებაში. შედეგი ბოლო ეტაპამდე არ იყო გამოკვეთილი. საბოლოოდ, პირველი ადგილი და 500 ლარი ფულადი ჯილდო წილად ხვდა სალოკომოტივო დეპოს ფეხბურთელებს, მეორე ადგილზე გავიდა სავაგონო დეპო და 300 ლარი ჯილდო დაიმსახურა. ელ. მომარაგების სამმართველო მესამე ადგილს და 200 ლარს დასჯერდა. გუნდებს, აგრეთვე, გადაეცა თასები და სიგელები, ხოლო ფეხბურთელებს სამახსოვრო მედლები.

სალოკომოტივო დეპოს გუნდი „ლოკომოტივი“ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს რკინიგზის რესპუბლიკურ გათამაშებაში, რომელიც ქობულეთში გაიმართება. აღსანიშნავია, რომ დეპოელებმა შარშანაც მიიღეს მონაწილეობა ამ გათამაშებაში და იქაც ჩემპიონები გახდნენ.

დასანანია, რომ სალიანდაგო სამმართველომ, რომელთა ფეხბურთელები წლების განმავლობაში ერთპიროვნული ლიდერები იყვნენ, წელს ვერ შეძლო ძლიერი გუნდის გამოყვანა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში, ისინი შეძლებენ ლიდერობის დაბრუნებას.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების საყურადღებოდ!

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ და ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების (2012 წლის 15 აგვისტო) შესაბამისად, 24 ოქტომბრის ჩათვლით, წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისათვის, გაზეთში „ხაშურის მოამბე“ გამოყოფილია ფართობი. კერძოდ: ფასიანი რეკლამისათვის გაზეთის მე-4 გვერდი (988 კვ.სმ), უფასო რეკლამისათვის კი გაზეთის მე-5 გვერდის ნახევარი (494 კვ.სმ.). ფასიანი რეკლამის შემთხვევაში, ერთი კვადრატული სანტიმეტრის ღირებულება შეადგენს 20 თეთრს (ერთი გვერდი - 197 ლარი და 60 თეთრი).

A3 და A4 ფორმატის ჩანართის შემთხვევაში (თუ ჩანართი გამზადებული სახით მოაქვს დამკვეთს და რედაქცია მხოლოდ ქსელში გავრცელების ვალდებულებას კისრულობს) კვადრატული სანტიმეტრის ფასია 15 თეთრი, ანუ A3 ფორმატის შემთხვევაში - 148 ლარი და 20 თეთრი, A4 ფორმატის შემთხვევაში - 74 ლარი და 10 თეთრი.

D

განცხადება

სასწრაფოდ იყიდება მიწის ნაკვეთი(80 მეასედი) ალში, ცენტრალური გზატკეცილის მიმდებარედ.

ფასი შეთანხმებით.

ტ: 557 96 68 18(არჩილი).

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.